№ 176
პარასკევს, 17 აგვისტო, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12. . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11. . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10. . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9. . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8. . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7. . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1901

# ივერია

№ 176
პარასკევს, 17 აგვისტო, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

**მიხეილ გედევანიშვილისა.**

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი.**—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

**ნ. ა. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

**ა. მ. შატილოვი**—თვალის, 10—11 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ე. გ. ფედოროვი.** შინაგან და ბავშვებისა. 1—2 ს.

**ვ. ლ. მარკევიჩი.**—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი.** სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

**ა. ა. ბელოგოლოვი**—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი. 5—6 საათ.

**კვირაობით:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

---

## სკოლა და პანსიონი

**ა. მამულაიშვილისა.**

ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.

ოლგას ქუჩა (Ольгинская), № 13

(— — 1)

---

### ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია

აცხადებს, რომ ამა წლის ენკენისთვის პირველ დღიდან თავისუფლდება როინაშვილის ფოტოგრაფიის **გამგეს ადგილი.** ვისაც ჰსურს ეს ადგილი დაიჭიროს, მან უნდა თხოვნით მიჰმართოს საზოგადოების გამგეობას. ჯამაგირი თვეში იქნება 50 მან. და წმინდა მოგებიდგან 25%.

(—6—)

---

მკურნალი

## მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. (ნ.) ტელეფ. 791.

---

### ტფილისის საკომერციო სასწავლებლის

დირექტორი

აცხადებს საყოველთაოდ, რომ მოსწავლეების მიღება **უმცროს განყოფილებასა** და ახლად გახსნილ მოსამზადებელ კლასის **საშუალო განყოფილებაში** მოხდება 1901—1902 სამოსწავლო წლის 28 და 31 აგვისტოს. უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები 7-დგან 9 წლისანი უეგზამენოთ, საშუალოში—8—10 წლისა ეგზამენით.

თხოვნები მიიღება ორშაბათობითა, ოთხშაბათობითა და შაბათობით 10-დგან 1 საათამდე სასწავლებლის სადგომში. თხოვნას უნდა ახლდეს მოწმობანი დაბადებისა, წოდებისა, ყვავილის აცრისა და მათი პირები. უამ მოწმობებოდ თხოვნები მიღებული არ იქმნება.

მე-2 და 1 კლასებში და უფროს მოსამზადებელში, თავისუფალ ვაკანსიის უქონლობისა გამო, მოსწავლეებს არ მიიღებენ.

(6—ნ.—5)

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო ,ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. [illegible] აპეტიანცი.** 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

**გ. ა. თარხანოვი.** შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

---

**ო. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

დირექტორი სამკურნლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
**Навасардiана.**
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

---

### ქართული დრამატიულის საზოგადოების გამგეობა.

სექტემბრის პირველ რიცხვებში გაჰმართავს

## გამოსაცდელ წარმოდგენას

ვისაც ჰსურს ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება, იმან უნდა მიჰმართოს საზოგადოების კანტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზედ) ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე.

(55ვ—5)

---

### მთავრ. განკარგულებანი.

—

**გადაყვანილიქმნენ:** ყუბანის ყაზახთა 1-ლ პლასტუნის ბატალიონის ასისთავი თავ. **გრუზინსკი** ზაქათალის მე-164 ქვეითა რაზმში პორუჩიკად; ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე მე-VI ხარისხისა **სრესული** ყარსის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში სიტყვიერ თარჯიმანის თანამდებობის აღმასრულებლად; გუმბრის მაზრის საპოლიციო გამგეობის თარჯიმანი

---

# ფელეტონი

## მგოსანი.

—

ქვეყანამ გული გამიხსნა,—
საიდუმლოთა სადარო,—
შიგ ჩამახედა, გამაცნო
ავის და კარგის სამთავრო.

—

ბულბულმა სტვენა მასწავლა,
ყორანმა მწარე ჩხავილი;
ეკალი ჩხვლეტას მასწავლის
და დაყვავებას ყვავილი.

—

ავი და კარგი, ორივე
მეძმენ და მეყმენ თანსწორად
და ჩემი სუსტი ბუნება
იმათვე გაჰყვეს თან ორად.

—

ნიავი მეჩურჩულება:
რაცა ხარ, ნუ დამალამო!
ეკალი იყავ წყლულისთვს
ზოგჯერ... ‍ზოგჯერ მალამო!—

—

ვარსკვლავიც სხივებ-პარპალით
მაღლიდან მედასტურება!..
და ეს ციური სიმართლე
მხოლოდ კაცს არ ეყურება!...

აკაკი

---

### სამეცნიერო მიმოხილვა

I

### ჰაერი და სიცოცხლე.

მართალი იყო საფრანგეთის ცნობილი ქიმიკოსი ჟ. ბ. დუმა, რომ სთქვა: „ცოცხალი ორგანიზმი შეკუმშული ჰაერიაო“... სად, ან რომელს სულდგმულსა და მცენარეს დაასახელებთ მართლაც, რომ ჰაერი მისთვის აუცილებელი და მასაზრდოებლი არ იყოს, რაიმე გვარად ჰაერს გარეშე სიცოცხლე შესაძლებელი იყოს. დედა-მიწის ზურგზედ, ცის უსაზღვრო სივრცეში, თუ მდინარეებსა და ზღვებში, ან დედამიწის გულში, სადაც-კი რაიმე არსებობის ნიშნებია ნებითი და აზროვანი, თუ უნებურად, განსაზღვრულ აზრის სამსახურად ბუნების მიერ გაწესებული, ყველგან ჰაერია საჭირო, უჰაეროდ არსებობა წარმოუდგენელია. საკმარისია ამ ჩვენის ქვეყნის ჰაერი უცბად გაჰქრეს როგორმე რამდენისამე წამით, და სიცოცხლე სამარადისოდ მიიძინებს, ქვეყანა და მისნი არსნი სამუდამოდ შესწყვეტენ სუნთქვას, ბუნება მოკვდება, რადგანაც იგი მხოლოდ ჰაერით არის გასულდგმულებული. ერთი სიტყვით, ჰაერი იგივ სიცოცხლეა, მრავალ-გვარად და სახად ქვეყნად მოვლენილი.

ასრე დიდია დანიშნულება ჰაერისა, მაგრამ ბევრისათვის თვისება და ბუნება მისი სრულიად გაუგებარნი არიან, არ იციან რისგან და როგორ შესდგება იგი, ან სხვა-და-სხვა არსთა კერძო ცხოვრებაში რა აზრი და მნიშვნელობა აქვს ამ ყოვლადძლიერს უხილვას ძალის ბუნებისასა.

ამიტომაც შესწავლა მისი, თუნდაც მხოლოდ მოკლედ და ზეზეურად, უთუოდ უსარგებლო არ იქმნება და ბევრს რასმე განგვიმარტავს იმ ქვეყნიდგან, რომელსაც ბუნების სამთავრო ეწოდება და რომლის საპატიო ნაწილსაც ადამიანი შეადგენს. ვეცდებით მაშ, რამდენადაც-კი ჩვენ მიერ შეძენილი ცოდნა და ამონაკითხი ნებას მოგვცემს, მოკლედ და მარტივად გადავცეთ მკითხველს, თუ რა არის ჰაერი და სიცოცხლესთან რა კავშირი აქვს.

—

ჰაერი, ეს დაბადებიდგანვე ადამიანისა და ყოველის სულდგმულის განუყრელი თანაარსი ნივთიერება, მართალია, უხილავია, მაგრამ, როგორც რეალურს ნივთიერებას, აქვს თითქმის ყველა ის ნიშნები და თვისებანი, რომლებიც-კი სხვა ამგვარს საგნებს ახასიათებენ, მაგ. შეიძლება ავწონოთ იგი, სურვილისამებრ ჭურჭელში შევინახოთ, სითხედ ვაქციოთ, ყინულივით გავამაგროთ, შემდეგ ისევ თავისი ჩვეულებრივი სახე მივცეთ და სხ. მაშასადმე, პირველი და თავი-და-თავი დამახასიათებელი ნიშანი ამ საგნისა არის ის, რომ იგი ნივთიერებაა და არა რაღაც განყენებული წარმოდგენა, ოცნებით. შექმნილი საგანი.

ჰაერი უხილავი და იქამდის თხელია, რომ სულ პაწია ბუმბული და სუმბუქი მტვერიც-კი დაუბრკოლებლივ დასრიალებს მისს სივრცეში. რომ შეიძლებოდეს, ჰაერს ბადეს შევადარებდი, მაგრამ მეტად თხელსა, ნაზსა ‍სუბუქს, რომელიც არავითარს საგანს არ დააბრკოლებდა ‍ყოველისფერს ადვილად გაატარებდა თავისს ქსელში. ჰაერს, როგორც ბევრს სხვა მისს მინაგვარს ნივთიერებასაც განსაზღვრულს სახელს გაზს უწოდებენ, რადგანაც ადვილად შეიძლება დიდს მანძილზედ გაშლილს სულ პატარა ადგილი დავაჭერინოთ და პირ-იქით, შეკუმშული უზომოდ დიდს მანძილზედ გაიშალის.

და აკი აგრეც არის. დედამიწის ზურგზედ, თუ-კი სადმე სიცოცხლის ნიშნებია, მდინარეებსა და ზღვაში, თუ უსაზღვრო სივრცეში, სად მხოლოდ მთვარესა და ვარსკვლავებსა ჰხედავს ჩვენი თვალი, ყველგან და ყოველივეს ჰაერი ახვევია გარშემო, ყოველისფერს ჰაერი ავსებს. ძველებური თქმულობისა არ იყოს „ბუნებას ცალიერობა სძულსო“, ჰაერს უარესად სძულს იგი და, თუ-კი სადმე თავისუფალს კუნჭულსა ჰნახავს, ყველგან მიისწრაფვის, ყოველივეს ავსებს. მაგრამ როგორც სუბუქი და თხელი ნივთიერება თავისს საკუთარ სიმძიმისა გამო დედამიწის ზედაპირზედ იგი უფრო შეკუმშულია, ზევით და ზევით უფრო თხელი, უფრო გაშლილი. ასე რომ ერთისა და იმავე ზომის მანძილზედ ჰაერი სადმე დაბლობში ავიღოთ და შემდეგ ამოდენავე ჰაერი მაღალს მთაზედ, პირველს შემთხვევაში ჰაერი უფრო სქელი და, მაშსადამე, მძიმე გამოვა, მეორეში--სუბუქი და თხელი. ამ რიგად თუ ნორმალურს პირობებში ავწონით მშრალს ჰაერს (760 მილიმეტრის სიმძიმის (давленіе) ქვეშ და 0 გრადუსში) ეენიოს გამოკვლევით ერთი ლიტრი, ანუ ნახევარ ბოთლზედ ცოტა რამ მეტი ჰაერი 1,293 გრამს იწონს. მაშასადამე, ჰაერს სიმძიმე ჰქონია, მაგრამ, როგორც უკვე გვქონდა გაკვრით მოხსენებული, ყოველთვის და ყველგან ერთი სიმძიმე არ აქვს ჰაერს: მშრალი ჰაერი სუბუქია, სველი მძიმე, დაბალი ადგილების ჰაერი უფრო

ეროვნული

თუმანიშვილი შურაგელის ნაწილის გამგეობის საქმის მწარმოებლის თანამდებობის ალმასრულებლად. ებოძა გუბერნსკი სეკრეტრობა: ვარშავის სამხედრო ოლქის საინტენდანტი გამგეობის მდივნის თანაშემწის თანამდებობის ალმასრულებელს თოფურიას.

**დანიშნულ იქმნენ** ახალ-სენაკის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი გვინჩიძე ახალ-სენაკისავე მე-VI კლასის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსად ჲ გუდაურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი კვირიკაშვილი ყვირილის მე-VI კლასის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსად.

# ახალი ამბავი

—

⁂ შაბათს, 25 აგვისტოს, დილის 10 საათზედ, მისი უდიდებულესობა ელლინთა დედოფალი საგანგებო მატარებლით ბორჯომიდგან ბათუმს წაბრძანდება.

⁂ ოთხშაბათს, 15 მარიამობისთვეს, სიონობას, ტფილისის სიონის საკრებულო ტაძარში საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე ბრძანდებოდა მწირველი. მლოცავთა შორის უმეტესობას ქართველობა და სომხობა შეადგენდა. ეკკლესია და გალავანი ვიდრე ქუჩის პირამდე მთლად სავსე იყო. წირვა და გალობა რუსულად იყო.

⁂ ამავე დღეს, ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში სადღესასწაულო წირვა წინამძღვარმა მამა კალაიჯიშვილმა გარდაიხადა და სახარების წაკითხვის შემდეგ ქართულს ენაზედ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა. ღრმად პატივცემულმა წინამძღვირმა ის აზრი გაატარა, რომ საქართველო ღვთის-მშობლის ხვედრია და უმეტესადა გვმართებს, მაშასადამე, სიწმიდითა და თავმდაბლად ვცხოვრობდეთო.

⁂ სპეციალურადმცოდნე სოკოიან ავადმყოფობათა ბ-ნი იაჩევსკი კავკასიაში გამოუგზავნიათ, რომ მინდვრის მცენარეთა და ხეხილების ავადმყოფობანი შეისწავლოს.

⁂ როგორც ჩაქვადგან იწერებიან, ამ წელს 20,000 გირვანქა მშვენიერი „რუსეთ-ჩინეთის“ ჩაი მოუყვანიათ.

⁂ საერო-განათლების სამინისტროში ლაპარაკი თურმე ალძრული იმის შესახებ, რომ სამინისტროს პირველ დასაწყის-სკოლების მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა გააუმჯობესონ.

⁂ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, განზრახვა თურმე აქვთ სოფლის საზოგადოებათა მწერლების „ინსტიტუტი“ როგორმე შესცვალონ და დააკანონონ, რომ ამ ადგილზედ საგანგებოდ მომზადებულნი და განათლებულნი ინიშნებოდნენ ხოლმე.

⁂ როგორც გაზეთები იწერებიან, მიწათ-მოქმედების მინისტრი ბ-ნი ერმოლოვი 25 ამ თვეს კავკასიის სამკურნალო წყლებზე თურმე აპირებს წამოსვლას და შემდეგ აქედგან ტფილისში ჩამოსვლას გამოფენის სანახავად.

⁂ 20—22 აგვისტომდე ტფილისში კავკასიელ სიონელთა (ებრაელთა საზოგადოებაა) კრება მოხდება.

⁂ ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი სვეჩინი უკვე დაბრუნდა ახალ ქალაქის მაზრიდგან.

⁂ სამხედრო საოლქო შტაბი კოჯორიდგან ტფილისში 22 აგვისტოს გადმოვა.

⁂ ტფილისის ვაჟთა 1 გიმნაზიის პანსიონი 20 აგვისტოს დაბრუნდება მანგლისიდგან ტფილისში.

⁂ ტფილისის სახაზინო პალატის გამგე სთხოვს გუბერნატორს დაუყოვნებლივ საგუბერნიო ტეხნიკოსი იქმნეს გაგზავნილი, რომ აღნიშნულის პალატის შენობა გასინჯოს და გამოიანგარიშოს რამდენად დიდი შეკეთება უნდა.

⁂ კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ტარანოვსკი კავკასიის სამკურნალო წყლებიდგან 20 აგვისტოსათვის დაბრუნდება ტფილისში.

⁂ საადგილ-მამულო განკარგულებათა დეპარტამენტმა მოსთხოვა კავკასიის საუფლისწულო მამულების სამმართველოს, რომ საკულუხო უფლებით მიცემულ საეკკლესიო მამულების გარდასახადთა შესახებ ცნობები წარუდგინოს.

⁂ ქალაქის ინჟენერმა და კომისიის ზოგიერთმა წევრებმა, რომელსაც ქალაქის ბაღებისა და მცენარეულობათა მეთვალყურეობა აქვს მინდობილი, პატარა-ლილოს მახლობლად მდებარე წყაროები დაათვალიერეს. განზრახვა აქვთ აღნიშნული წყაროებიდგან კუკიისა და სხვა მახლობლად მდებარე ქალაქის მიწების მოსარწყავად წყალი გამოიყვანონ. ამ საქმისათვის 60, 000 მან. არის საჭირო.

⁂ ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიის თავმჯდომარემ ითხოვა 24 უფასო ბილეთი კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენისა.

⁂ 14 აგვისტოს სადგ. ყვირილაზედ, № 183 მატარებლისათვის ვაგონების მობმის დროს რკინის გზის მსახურმა ამბაკო მოგებრიძემ ხელი დაიშავა.

## კავკასიის მომავალი გამოფენა

—

ქალაქის გამგეობამ გარდასწყვიტა კავკასიის სამეურნო გამოფენაზედ კერძო პავილიონების პატრონთ ქალაქის მილიდგან წყლის ხმარებისათვის სასყიდელი გადაახდევინოს.

⁂

როგორც შევიტყეთ, კავკასიის გამოფენის გახსნას კვირას, 2 სექტემბერს, თურმე აპირებენ.

# დაბა ჲ სოფელი

—

**ს. მეჯვრისხევი.** წრევანდელმა წელიწადმა ვერაფერი მოწყალე თვალით გადმოჰხედა აქაურს მუშა ხალხს. ზაფხული დადგა აჟინებულის წვიმებითა და რამდენიმე დღე საგრძნობლად ციოდა; ამას მოჰყვა საშინელი სიცხეები და პურის მარცვალი ჩაიხარშა, ველარ დასრულდა, დაჟიჟმატდა. ფეხად პური ბარემ უხვად მოვიდა, მაგრამ გამოსავალი მცირე აქვს: კვლავ თუ ურემს 4—5 კოდი გამოსავალი ჰქონია, წრეულს ამდენს ორი ურემი იძლევა. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ დღეს კალოზედაც-კი ოთხ მანეთამდე ფასობს კოდი პური.

იმავე უამინდობამ ვაზსაც არ დააყენა ხეირი. ცივი დღეების შემდეგ სველ მარცვალს უეცრად სიცხეებმა მოასწრო, სიცხის ალმურმა მოთუთქა და მოხარშა ნორჩი მარცვლები, რომლებიც გახმა და სცვივა!

ამასთან დასნეულებულ ვაზს ფოთლებიც შეახმა და მთელი აქაური ვენახები უსიამოვნო სანახაობას წარმოადგენს, თითქოს გიორგობისთვე დასდგომია და ფოთოლი გაუყრევინებიაო.

ნაწამლი ვენახები, შედარებით, უფრო კარგს მდგომარეობაშია, მაგრამ სრული სისაღე და სიკარგე არც იმათ ეტყობათ.

ცხოვრების უმთავრესს სალსარს აქაურ მკვიდრთა მომეტებული ნაწილისას ვენახის მოსავალი შეადგენს და ამიტომაც ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გუნებაზედ უნდა იყოს მუშა ხალხი იმ ფიქრით, რომ წრევანდელი რთველიც ვერ მოიმადლიერებს მას და შრომასა და დაკარგულს დროს ვერ უზღავს...

აქაური ვენახები—მაინც საზოგადოდ, ეს რამდენიმე წელიწადია
ველარ იძლევიან
ღირსებით შესაფერს მოსავალს; ამ
გამო ღვინის ფასმა შესამჩნევად
იწია: წინა წლებში თუ კოკა ღ
ნო 12—18 მანეთად იყიდებოდ
ეხლა 7—10 მან. არ აღემატე
მიზეზი-კი ამისი ის გახლავთ, რ
ვენახებს ჩვეულებისამებრ ისევ „ძ
ლებურათ, ჩვენებურათ“ უვლი
არა სწამლობენ. მევენახეების უ
ტესობა, ე. ი. გლეხკაცობა, უ
ცრებისა თუ უილაჯობისა გამ
ვერაფრით ვერ შეურიგდა იმ გარ
მოებას, რომ ამდენ მუშაობასთ
წამლობაც უთუოდ საჭიროა, რ
უკან და უკან მიმავალი ვენახ
გამოკეთდეს როგორმე. „წამლო
სულ ტყუილია, ღმერთია, მართ
ლი!.. წინათ რომ არ წამლობდნ
რა ურიგო მოსავალი იყოო!.“
სხ. ხშირად გაიგონებთ ხალხში. მ
გრამ ის-კი ავიწყდებათ, რომ ღმ
თმა მაღლიდგან გადმოიხედა
სთქვა: „რამოდენა ჩემი უნებ
ზარალი ხდება ქვეყანაზედაო“,
არ უნდათ მიჰბაძონ მომიჯნავე
გნებულს ვენახის პატრონებს, რო
ლებიც წამლობას ბეჯითად გან
გრძობენ და შრომაც. უფასდება
რამდენადაც პურისა და ღვინ
მოსავალს შეუშალა ხელი წრევ
დელმა წელიწადმა, იმდენად ხე
უმართავს სიმინდის მოსავალს:
წყავ თუ სარწყავ მინდვრების
მინდებში, რომ იტყვიან, სწორ
ღვთის თვალი ტრიალებს!..

—

შუა მეჯვრისხევში, თვალსაჩინ
ადგილას, უხსოვარ დროს აგებუ
წმ. მარინეს ტაძარი აქამდის, უ
რადღებობისა და დაუდევრობისა
მო, მეტად ცუდს მდგომარეობა
იმყოფებოდა: მისი ეზო სოფლ
სანახიროს წარმოადგენდა და შ
საბამო უსუფთაობა კიდევ უსიამ
ნო შთაბეჭდილებას ახდენდა; ეზ
ში დაკრძალულ გვამთა საფლავე
საქონლის ფეხთაგან ითელებოდ

სქელია, მაღალისა თხელი. გავლენა აქვს სიმძიმეზედ აგრეთვე სითბოსიცივესაც.

ჰაერი, როგორც ყველა სხვა გაზი, შესდგება სულ უმცირეს, თვალით უხილავ ნაწილაკებისაგან (მოლეკულებისაგან), რომლებიც ერთთავად ჰმოძრაობენ. როგორც გამოკვლევამ დაამტკიცა, ეს მოძრაობა იქამდის სწრაფი თურმეა, რომ ერთს წუთში თვითეული მათგანი სხვა თავისს გვარს ნაწილაკს სულ ცოტა 4, 700, 000,000-ჯერ თურმე ეხლება. ამ მოძრაობის უფრო ნათლად წარმოსადგენად გავახსენებ მკითხველს თონიდგან ამომავალს სიმხურვალეს, ჰაერში როგორ უჯრედებათ იშლება და ციალებს, ჰმოძრაობს. ასეთივეა, მაგრამ უხილავი მოძრაობა ჰაერისა. ვილიამ ტომსონისა და ფან-დე-ვაალსის გამოანგარიშებით, ჰაერის ნაწილაკები ანუ მოლეკულები მილიმეტრის ერთს მილიონედს უნდა უდრიდნენ. თუ ეს მართალია, მაშინ კუბიკური სანტიმეტრი ჰაერი 21, 000, 000, 000, 000, 000, 000, ნაწილაკს უნდა შეიცავდეს.

ჰაერის სიმძიმის ცვლილებათა საზომად იტალიელმა მეცნიერმა ტორრიჩელმა 1643 წ. გამოიგონა ბარომეტრი, რომელიც დაახლოვებით გვიჩვენებს მუდამ, სად რა სიმძიმის ჰაერია.

დასარწმუნებლად იმისა, რომ ჰაერს სიმძიმე აქვს, შეგიძლიანთ აილოთ ცალიერი რამ შუშა, გამოსწოვოთ ჰაერი ჲ ასწონოთ, შემდეგ პირი მოხსნათ, ე. ი. ჰაერი ჩაუშვათ ჲ ახლა ისე ასწონოთ. პირველს შემთხვევაში შუშა მძიმე იქმნება, მეორეში მსუბუქი. მეტ-ნაკლებობა წონვისა თვითონ საკუთრივ ჰაერის სიმძიმე იქმნება. უკეთესი მაგალითიც შეიძლება მოვიყვანოთ იმის-და დასამტკიცებლად, რომ ჰაერს სიმძიმე აქვს ჲ ეს სიმძიმე სხვა-და-სხვა ხილულ საგნებთან ბევრნაირად დამოკიდებულია. ავილოთ, მაგალითად, ტიკი. გაბერილი და დაფუკული რომ ავწონოთ, სულ სხვა-და-სხვა სიმძიმისა გამოვლენ. რა არის მიზეზი? ექვი არ არის, ის, რომ გაბერილს ტიკში ჰაერია ჲ ამიტომაც მძიმე. მეორე მხრივ, როდესაც პირს მოვხსნით, რად იფუკება ტიკი? იმიტომ, რომ შიგ ჰაერი, ე. ი. გარეთა ჰაერის საწინააღმდეგო ძალა, აღარ არის ჲ გვერდებიდგან ყველა მხრივ მოწოლილი ძალა ჰაერისა სჯობნის, შეკუმშულს ჰაერს სდევნის, ტიკი იფუკება.

ასე ჲ ამ რიგად დამტკიცებულად უნდა მივიღოთ, რომ ჰაერს სიმძიმე აქვს ჲ უფრო მეტიც, ვიდრე ჩვენა გვგონია.

თუ რომ ვერწმუნებით, რასაც მეცნიერება ჲ მეცნიერნი გადმოგვცემენ, მაშინ ეს უხილავი ნივთიერება, ჰაერი, ცოტა არ იყოს საშიში წარმოსადგენიც-კია. მთელს დედამიწის ზედაპირს 300—320 ვერსის სიმაღლეზედ ჰაერი აქვს შემოკრული, ანუ დაწოლილი უკეთ რომ ვსთქვათ. ჲ აი, ამოდენა სიმძიმე ისეა განაწილებული, რომ ვერც-კი რასმე ვგრძნობთ, ჰაერი გვაწევს თუ არა. საყურადღებოა მაინც ვიცოდეთ, მაგალითად, კაცს, რომელიც საკმაოდ დიდის ზომისაა ტანით, რამოდენი სიმძიმის ჰაერი აწევს ზემოდგან. გამოვიანგარიშოთ. თვითეულს ოთხ-კუთხს სანტიმეტრს ჩვენის სხეულისას აწევს იმოდენა ჰაერი, რამოდენი სიმძიმისაც სიგანით ერთსანტიმეტრიანი ვერცხლის წყლის სვეტი გამოვა ბარომეტრით ნაჩვენებ სიმაღლის მიხედვით. თუ რომ ბარომეტრი 760 უჩვენებს, მაგალითად, რაიცა ნორმაა საზოგადოდ, მაშინ სიმძიმე ჰაერისა აღნიშნულს ადგილზედ (ერთ ოთხ-კუთხ სანტიმეტრზე) დაიჭერს 1033 გრამს, ანუ ერთს ოთხ-კუთხ დიუიმზედ 15 გირვანქას. აქედგან, თუ რომ ადამიანის სხეულის ზედაპირს საშუალოდ $1\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხს მეტრს (15,000 ოთხ. კუთხს სანტიმეტრს) ვიანგარიშებთ, გამოვა, რომ თვითეულს ჩვენგანს 15,450 კილოგრამი ჰაერი აწევს (ჩვენებურის ანგარიშით 965,6 ფუთი), ე. ი. იმდენად დიდი, რომ ჩვენის სხეულის შიგნეული ჰაერი თავისს მხრივ არ უწევდეს წინააღმდეგობას, თვალის დახამხამებაზედ მტვრათ გვაქცევდა, გაგვსრესდა.

აქედგან აშკარაა თვითეული საგანი ორნაირს სიმძიმეს გვიჩვენებს: საკუთარსა და იმ ჰაერისას, რომელიც მას ზემოდგან აწვება. მაშასადამე, ნამდვილი წარმოდგენა ამა თუ იმ საგნის სიმძიმის შესახებ არასოდეს არა გვაქვს და ყოველი ჩვენი ცოდნა ამ მხრივ მხოლოდ პირობითია. საზოგადოდ, ჩვენის დედამიწის ჰაერს მთლად 5,000,000,000, 000,000,000 კილოგრამს ანგარიშობენ, ე. ი. მთელის ჩვენი დედამიწის სიმძიმის მემილიონედს ნაწილს, რაიცა 312,500,000,000,000,000 ფუთს დაიჭერს.—

ჩვენ ვსთქვით, ჰაერი უხილავიაო. დიახაც, თუ ნორმალურს პირობებში ავიღებთ. მაგრამ ჩვენ ხელთვეა, თუ-კი მოვისურვებთ, სითხეთ ვაქციოთ, ხილული გავხადოთ, ხოლო შემდეგ თან-და-თანობით
გაციებით გავყინოთ კიდეც, ხ
შესახები შეიქმნეს, თუმცა შეხებ
ვგონებ, ვერავინ გაჰბედავდა. ნა
ტერერის გამოკვლევით, მჟავბადი
აზოტი 3,000 ატმოსფერის (ატმ
სფერას ეძახიან მთელის ჰაერის ს
ძიმეს დედამიწის რომელისამე ად
ლზე) სიმძიმის ქვეშაც ისრე
გაზებათ რჩებიან, მაგრამ თუ ამ
დროს სითბოს ძირს დავწევთ,
ცივეთი შევცვლით, ორსავე გა
მჟავბადსაცა და აზოტსაც სითხ
ვაქცევთ. კალლეტემა და პიკ
200,500 და 1000 ატმოსფერ
სიმძიმის ქვეშა და 100 და 2
გრადუსს სიცივეში (ცელსიის ტ
მომეტრით ჰაერი სითხეთ აქცი
ხოლო შემდეგ თან-და-თან გაციებ
გაჰყინეს კიდეც. *)

ზემოდა ვსთქვით, თხელსა
გამაგრებულს ჰაერს ხელს ვერა
შეახებსო, მაგრამ არ მოვიხსენი

---

*ჰაერს ჯერ 30° გააციებენ, მ
200—300 ატმოსფერის სიმძიმის ქვეშ
კუმშვენ. ჰაერი ამ დროს ჯერ ისევ უცვ
ლად რჩება. თუ რომ ახლა კრანს მოუშ
ბენ და ერთს ნაწილს შეკუმშულ ჰაე
სას გაანთავისუფლებენ, შეთხელებისა გა
ჰაერი უცბად საშინლად გაცივდება,
მომეტრი 0 ქვეით 200°-მდე დაიწევს
ჰაერი სითხეთ იქცევა. თუ რომ კ
გავაციებთ, მაშინ თხელი ჰაერი მთლ
გამაგრდება.

დღეს ამ ეკკლესიას, მისი ყოფილი ძღვრის მ. ილარიონ ხახუტაშვი- ისა და ამის მოადგილის მ. ნიკო- ოზ სამხარაძის მეცადინეობითა შრომით, მრევლმა დიდი ცვლი- ება და შნო მისცა. იგრგვლივ ალი ქვითკირის გალავანი შემოა- ლო, ლამაზი გეგმის ბჭის კარი ება, ეზოში სხვა-და-სხვა მცენა- ები, ყვავილები და ვაზები დარ- და შიგა და შიგ მლოცველთა- ის სკამები ჩაარიგა; კოხტა სამ- ეკლო დიდის ახალი ზარითა, და ვ. დღეს მედიდურს შეხედულო- ს აძლევს ეკკლესიას და ადამიანის ვალსა და გულს უნებურად იზი- ავს. ეხლა და ეხლა ხალხიც თი- ქოს მეტი სასოებითა და სიმრავ- ით ეტანება ეკკლესიას.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ვ. კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე ისთავი, რომელმაც ეკკლესიის ოს გასაფართოვებლად საკუთარი გილი შესწირა და ამ ეკკლესიის ზრუნველოს თავმჯდომარე აზნ. დრია ჩუბინოვი, რომელმაც შრო- თ თუ ნივთიერად გალავნის შე- ვლებაში შესამჩნევი დახმარება მოუჩინა.

მაგრამ რადგანაც ტაძარი მეტად ცირეა, მ. ნ. სამხარაძემ მისი გა- ართოვება განიზრახა, ე. ი. წინა ლის ალება და სიგრძის მიმატე- ა. ამისთვის მან დიდად პატივცე- ულს კნეინა ალექსანდრა გიორგის ულს ერისთავისას მიჰმართა შემ- წეობისათვის.

კნეინა გულმხურვალე თანაგრძნო- თ მიეგება ამ საქმეს და ნაცნობ- თესავებსა და მრევლში ფულის გროვებას უკვე შეუდგა. იმედია, სასურველი მეცადინეობა უნა- ყოფოდ არ ჩაივლის და მალე ამ ლესიას უფრო გამშვენიერებულს ნახავთ.

თან—ინ—კან.

—

**ფოთი.** ორშაბათს, 13 აგვის- ოს, გულის ფრიალით უეცრად გარდაიცვალა ქუთაისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ბ-ნი ვ. მ. კლეევსკი. განსვენებულმა სოხუმიდგან ფოთში გამოირა მგზავრათ, სადაც ის ადგილობრივ მსაჯულთან იყო მიწვეული სადილათ. საათის ოთხზედ, სანამ სტუმრები სადილს შეექცეოდნენ, განსვენებული თავს კარგადა ჰგრძნობდა თურმე და ოხუნჯობდა, მაგრამ, როცა გაშლილს სუფრას მიუჯდა და ის იყო სადილობა დაიწყო, უეცრად გული შეუღონდა და იქვე სული განუტევა. განსვენებული ახალგაზდა ცოლ-შვილის პატრონი კაცი იყო.

ი. კ.—ძე.

—

**ს. კახი** (საინგილო.) ს. კახის მახლობლად, 8 ვერსის მანძილზედ, სძევს ს. ილისუ (ლეკებით არის დასახლებული), რომელშიაც 800 კომლამდე მცხოვრებია. ეს სოფელი მშვენიერს ხეობაშია გაშენებული: ზემოდგან დაჰყურებენ თოვლიანი წვერები კავკასიონის უმთავრესი ქედისა დ̃ გარს არტყია დაბურული ტყეები. ს. ილისუ ბუნებას მარტო ტყეებით არ დაუსაჩუქრებია: ოთხს ვერსს გაივლი ამ სოფლიდგან დ̃ მიადგებით მშვენიერს გოგირდის წყლის წყაროებს. ამ წყაროებს ათასობით დ̃ ათი-ათასობით განუკურნავს მრავალი კეთროვანი სნეულებისაგან; ცნობილია არა მარტო ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა შორის, არამედ განჯის დ̃ ბაქოს გუბერნიის მკვიდრთაგანაც, საიდგანაც ყოველ-წლობით მრავალი ხალხი მოდის აქ საბანებლად. სამწუხაროდ, არც თვითონ ალისუში დ̃ არც აბანოებთან მიმსვლელებისათვის არავითარი მოწყობილობა არ არის დ̃ თვით გზაც-კი აბანოებამდე ურმისა დ̃ ეტლებისათვის მიუვალია. მიმსვლელი ან ფეხით უნდა მივიდეს აბანოებამდე, ან არა-და ცხენით. საკვირველია სწორედ ამოდენა მდიდარი ხალხი მოედინება ამ აბანოებში საბანებლად დ̃ აქამდე ფიქრადაც არავის მოსვლია რაიმე მოწყობილობა გაემართა აქ დ̃ ბუნების იშვიათი სიმდიდრით ესარგებლნა.

კარგი იქნებოდა სამკურნალო მმართველობასაც ყურადღება მიექცია ამ აბანოებისათვის დ̃ წყლის თვისება გამოეკვლია.

წყლს ძალიან ბევრი ხალხი მოაწყდა ამა ბანოებსა, ნამეტნავად ბაქოს გუბერნიიდგან. გარდა ამისა, როგორც აბანოების მიდამო, ისე თვით. ილისუ მშვენიერი საგარაკო ალაგია, აბასთუმანსა, ბორჯომსა დ̃ მანგლისს არ ჩამოუვარდება. ზაფხულობით ისე გრილა, რომ საღამოობით უნებურად უთუოდ ზამთრის ტანისამოსი უნდა ჩაიცვათ.

კახში დ̃ ილისუში საქონლის ქირი მძვინვარებს.

გ. ფარადაშვილი

## ნარკვევი.

—

„С.-Пет. Вѣдомости"-ში დაბეჭდილია ბ-ნ ალექსანდრე კახის წერილი ამ სათაურით: „საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულების გამო". სხვათა შორის, წერილის ავტორი ეხება ჩვენის ქვეყნის საჭიროებათ და ამბობს, რომ ქართველ ხალხის ბედ-იღბალი ამ ასის წლის განმავლობაში

> „დამოკიდებული იყო მართვა-გამგეობის ხასიათისაგან. საქართველოს ჰყავდა ისეთი გამგეები, რომელნიც თვალსა და ყურს არ არიდებდნენ ადგილობრივს ტრადიციებს, ჩვეულებებს, ისტორიულად შემუშავებულ ზნე-ხასიათს, ნდობით ექცეოდნენ მცხოვრებთ და თავიანთ მოღვაწეობას ამ ნდობაზედ ამყარებდნენ. სწორედ ასეთი მმართველი იყო ნამესტნიკად ნამყოფი მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე, რომელმაც უზომო სიყვარული დაიმსახურა მთელს კავკასიაში და რომლის დროსაც შემოღებულ იქმნა სასამართლოს წესდებანი, საქალაქო თვით-მმართველობა, გადავარდა ბატონ-ყმობა და სხვ... რუსეთის კულტურის გავლენის მეოხებით საზოგადოებრივმა განვითარებამ საქართველოში იმ ზომამდე მიაღწია, რომ საჭიროა რუსეთის მოქალაქობრიობის დამამშვენებელ დაწესებულებათა შემოღება: ერობისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსი, უმაღლეს სასწავლებლებისა და სხვათა. მაგრამ ყველა ამის შესახებ არა ერთხელ აღძრულ შუამდგომლობას განხორციელება დღემდე ვერ ეღირსა...

აი, ამ შუამდგომლობათა შეწყნარებასა სცნობს ავტორი საჭიროდ ეხლა და ამბობს, რომ იგი საუკეთესო ძეგლი იქმნება საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის სახსოვრადაო.

ამას გარდა ავტორი საჭიროდ სთვლის სწორედ ეხლა, შეერთებიდგან ასის წლის შესრულების სახსოვრადვე, დაარსებულ იქმნეს მოსკოვის უნივერსიტეტთან ქართულ ფილოლოგიის კათედრა. საქართველოს წარსული, ენა და ლიტერატურა ჯერ კიდევ დიდ გამოკვლევას საჭიროებს. რადგანაც დღეს ეს საგანი საუნივერსიტეტო კურსში არ არის შეტანილი, ავტორის აზრით, სასურველია დაარსებულ იქმნეს ასეთი კათედრა.

## უცხოეთი

—

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ცნობილი მისს ჰობლოუზი ერთს თავისს მოხსენებაში სწერს, რომ ბურთა დედაკაცები ომის დროს დაბადებულს შვილებს განსაკუთრებითი მნიშვნელობის სახელებს არქმევდნენო; მაგალითად ძალიან გავრცელებულია თურმე ასეთი სახელები: „Dolores (ტანჯვა), „Smartryck" (სიმწარე) და სხვანი. მისს ჰობლოუზს მოჰყავს აგრეთვე შემდეგი ამბავი, რომელიც ამტკიცებს, თუ რა მხურვალედ უყვართ სამშობლო და რაოდენად სძულთ მტერი პატარა ბავშვებსაც:

პოლკოვნიკი ბ. თავისის ჯარით დევეტის შესაპყრობად მიდიოდა. მან გზა დაჰკარგა და ჩამოშორდა მთავარს რაზმს, რომელსაც გენერალი წინამძღოლობდა. ერთის ფერმის მახლობლად შეხვდა დედაკაცი სამის შვილითურთ, რომელთაგან უფროსი ძლივს იქნებოდა 10 წლისა. პოლკოვნიკმა ჰკითხა; „არ გინახავთ აქ გენერალი ჯარითურთ და არ იცით, საითკენ წავიდა იგიო?"—დიახ, მიუგო ბავშვმა, მე ვიცი, სად არის გენერალი„—ათ გირვანქას (100 მანეთს) გაჩუქებ, თუ მასთან მიგვიყვანო,—უთხრა პოლკოვნიკმა.

ბავშვი წაიყვანეს, დააყენეს ჯარის წინ და გააფრთხილეს, არ გვიღალატო, თორემ დაგხვრეტავთო. ჯარის კაცებს ცხენები ლაგმით მიჰყავდათ და ბავშვის გვერდით მიდიოდნენ. დიდ ხანს მიდიოდა ჯარი ტრანსვაალის მინდვრად და აი, შორიდგან ბანაკი გამოჩნდა. ბავშვმა ისარგებლა ჯარის არევით, თვალის დახამხამების უმალ მოახტა უნაგირიან ცხენსა და შესძახა: „ქვეყნად ერთია გენერალი და ეს გენერალი დევეტიაო!" და შურდულივით გაიქცა. ბევრი ესროლეს ტყვიები, მაგრამ ამაოდ. არც ერთი არ მოხვდა. ხოლო პოლკოვნიკი ბ. ძალიან ცუდს მდგომარეობაში ჩავარდა და კინაღამ დევეტს ხელთ არ ჩაუვარდა, რადგანაც ბავშვმა პოლკოვნიკი მისის ჯარითურთ პირ-და-პირ ბურთა გენერალის დევეტის ბანაკთან მიიყვანა თურმე.

**ოსმალეთი.** როგორც გაზ. „ოსმანლი" სწერს, არაბეთში დიდი აჯანყებაა თურმე. მე-7 კორპუსის უფროსი სამხედრო სამინისტროს დეპეშით სთხოვს, უმთავრესს შტაბის აფიცრები გამოგვიგზავნეთ, რადგანაც ფრიად საშიშ მდგომარეობაში ვიმყოფებითო. უმთავრესმა შტაბმა დაუყოვნებლივ გაგზავნა იემენში რამდენიმე გამოცდილი

---

მიზეზით: პირველი, ვერ შეახებს იტომ, რომ ჰაერი მხოლოდ როებითა და განსაზღვრულს გა- მოებაშია ხოლმე თხელი ან მა- რი და როგორც-კი ჩვეულებრივი ობო და სიმძიმე დამყარდება, მა- ნვე თავისს უხილავს სახეს იღებს; ორეც, იმიტომ, რომ, რადგანაც ეთი ცვლილება უცბად არ ხდე- ა და რაიმე ხანი განვლის ხოლმე, დრე დაკარგულს სითბოს უკანვე იბრუნებდეს, უცბად დანაბადი ომოდ დიდი სიცივე სრულიად კმარისია, რომ ცოცხალი ქსელი ამიანის სხეულისა თვალის და- ხამებაზედ მოჰკლას.

—

ჩვენთვის ჰაერი იმდენად არის ყურადღებო, რამდენადაც იგი ნათლისა, სითბოსი, სმენისა და ლექტრონის მოვლენათათვის საჭიროა, სიცოცხლისა და არსებობი- ვის აუცილებელია. ჩვენც მაშ ოლოდ ამ მხრივ შევეხებით და კლედ ვიტყვით, რომ ჰაერია ოლოდ ერთად-ერთი მიზეზი იმისი, მ სიცხიანს დღეებში საამური ლი ნიავი დაგვატკბობს ხოლმე, ური მუსიკა და სიმღერა შო- დგან ჩვენამდე მოაღწევს, სით- მზისა და ხელოვნურად შე- ლი სიცივის წინააღმდეგ გვიფარავს, ელექტრონის ძალნი ათას ნაირად გვემსახურებიან.

—

ჩვეულებრივის ლაპარაკის დროს ხშირად იტყვიან ხოლმე, ჰაერს სუნი არა აქვსო, რადგანაც ყნოსვა დაბადებიდგანვე შეჩვეული გვაქვს და სუნის მხრივ ჰაერის ცვლილებას ვგრძნობთ მხოლოდ მაშინ, როცა რაიმე საგანგებო სუნია გავრცელებული. შემცდარია ეს აზრი. თუ რომ რამოდენსამე ხანს სულმთლად სუფთა ჰაერში დავყოფთ, სადაც არავითარი საგანგებო სუნი არ არის გავრცელებული, მაგალითად, ღრმა გამოქვაბულებში, და შემდეგ ჩვეულებრივს ჰაერს ვიყნოსავთ, დავრწმუნდებით, რომ ჰაერს სუნი აქვს და ერთობ ძლიერიც, ასე რომ ზოგი-ერთნი ამ სუნს პირველად ვერ იტანენ, იბნიდებიან. ამ შემთხვევაში საქმე ჩვენის ნერვების მყნოსველ უჯარედებზეა დამოკიდებული, რომლების შესახებაც თავისს დროზედ უთუოდ გვექმნება ლაპარაკი.

—

როგორც დასაწყისშივე მოგახსენეთ, არ არის ადგილი დედამიწის ზურგზედ, სადაც ჰაერი არ მოიპოვებოდეს: მდინარეები და ზღვები გაჟღენთილია, დედამიწის კარგა სიღრმესაც შეწოვნილი აქვს. მაგრამ ჰაერი აქ თხელი და ღარიბია, რადგანაც სიღრმე წყლისა და სიმაგრე მიწისა და დედამიწის გულის სხვა-და-სხვა ნივთიერებათა აბრკოლებს, ვეღარ ატანს. ყოველს შემთხვევაში დამტკიცებულია, რომ უდიდეს ოკეანეებშიაც-კი, სადაც სიღრმე 4 ვერსამდე აღწევს, მოიპოვება სიცოცხლის ნიშნები და დედამიწის გულში, სადამდეც მცენარენი ფესვებს უშვებენ, მათის არსებობისათვის საჭირო ჰაერი საკმარისია. განსხვავება აქ მხოლოდ იმაშია, რომ სხვა ღირსებისაა ჰაერი დედამიწის ზედაპირისა და სხვა მდინარეებისა და დედამიწის ნიადაგისა. ამიტომაც სხვაა სახე დედამიწის ზედაპირის არსთა და სხვა მდინარეებისა, ზღვებისა და დედამიწის ნიადაგისა. ყველაზედ მეტი დაკვირვება და გამოკვლევანი დედამიწის ნიადაგის ჰაერის შესახებ ბუსსენგოვა აქვს დ̃ ამტკიცებს, რომ ერთი კუბიკური მეტრი ნიადაგის ჰაერისა შეიცავს 5 გრამს, ე. ი. 22—23-ჯერ მეტს ნახშირმბადს, მაშინ როდესაც ჩვეულებრივი ჰაერი მხოლოდ 0, 216 გრამს შეიცავს. მიზეზი ამისი ნიადაგის სხვა-და-სხვა ნივთიერებაა, რომლებთან შეყრის დროსაც ჰაერის შემადგენელი ნაწილები რაოდენობას იცვლიან. ახლად გაპატივებულს მიწაში, მაგალითად, ნახშირ-მჟავა 24-ჯერ მეტია, ვიდრე ჩვეულებრივს ჰაერში.

როგორც ნამდვილი გამოკვლევა და ცდა გვიმტკიცებს, წყალიც შეიცავს მჟავბადს, აზოტსა და ნახშირ-მჟავას, მაგრამ იმდენს არა, რამდენსაც ჰაერი დედამიწის ზედაპირისა; თუ რომ ჩვეულებრივი ჰაერი 20,81 მჟავბადსა, 79,19 აზოტსა და რამდენსამე მეათასედს ნახშირ-მჟავას შეიცავს (ამ სამი გაზისაგან სიცოცხლისათვის უმთავრესი მჟავბადია, აზოტი გამოუსადეგარი, ხოლო ნახშირ-მჟავა მავნე და მომშხამველი), მდინარეებისა საშუალოდ $^2/_3$ ბოთლზედ 4—8 კუბიკურს სანტიმეტრს მჟავბადს შეიცავს, 12—18 კუბ. სანტ. აზოტსა და 2—20 ნახშირ-მჟავას. ამის-და მიხედვით, ზოგიერთს მდინარეებსა და ზღვებში ადგილ-ადგილ სიცოცხლის ნიშნები სრულიად მისუსტებულია. მაგალითა, მდინ. ტემზა ლონდონს ზემოდ 7, 4 კუბ. სანტ მჟავბადს შეიცავს, გამერსმიტში—4, 7, სომერსეტგაუზში (ქალაქს ქვემოდ)—1,5 და ვულვიჩში მხოლოდ-და 0, 25. ამიტომაც ლონდონს ზემოდ ყოველგვარი თევზები იპოვება, ხოლო ქვემოდ აღარც ერთი, რადგანაც სუნთქვისათვის საჭირო მჟავბადი აღარა აქეთ.

თუ რომ დედამიწის ზედაპირის ჰაერზედა ვთქვით, დაბლა სქელია დ̃ ზემოდ და ზემოდ თხელიო, ზღვებისა და ღრმა მდინარეების ჰაერზედ კიდევ ის ითქმის, რომ ზედა ჰაერი ძირის ჰაერზედ გაცილებით სუფთა და მდიდარია მჟავ-ბადით, რადგანაც დედამიწის ზედაპირის ჰაერთან მუდამ შეხლა აქვს, მისი მჟავბადით ივსება და ივსებს იმას, რაც წყლის არსთათვის სჭირდება. სამაგიეროდ ძირისა და ძირის წყალი ნახშირ-მჟავათია მდიდარი.

მაშასადამე, როგორც ნათქვამიდგანა სჩანს, მჟავ-ბადის ნაკლებობის შესავსებათ წყლისათვის ისევ დედამიწის ზედაპირის ჰაერი ყოფილა საჭირო, აქედგან ივსებს თავისს ნაკლს.

ამ რიგად გავიცანით მოკლედ და მარტივად, თუ რა გვარია ფიზიკური ბუნება ჰაერისა. მისს ქიმიურს ბუნებასა და ბიოლოგიურს მნიშვნელობას შემდეგს ფელეტონებში აღვიწერთ.

Morosus.

შტაბ-აფიცერი, გერმანიაში სწავლადამთავრებული. გაზეთის აზრით, არაბეთის აჯანყების მოთავენი იმდენად მოხერხებულად მოქმედობენ, რომ მათთან ვერას გააწყობენ ოსმალეთის რაზმთა წინამძღოლნი, რომელთა ადგილიც ბაში-ბუზუკთა რაზმებშია.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

14 აგვისტოს.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** გუბერნატორმა არ დაამტკიცა საბაზრო კომიტეტის 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვა 257,000 მან., რადგანაც რწმუნებულებმა წინააღმდეგობა განაცხადეს, ხარჯთ-აღრიცხვა სწორედ არ არის შედგენილიო. ეს განცხადება გადაეცა რწმუნებულთა კრებას განიხილველად.—გუბერნიის ერობას დიდი ზარალი მოსდის სოფლის მამულების დაზღვევისა გამო. 1-აგვისტომდის დასაზღვევი ჯილდო გაცემულ იქმნა 230,000 მან. შარშანდელზედ მეტი.

**ლონდონი.** „Daily Telegraph“-ს გილვერ სუმიდგან სწერენ, რომ პრეზიდენტს კრიუგერს ერთი ბაასის დროს უთქვამს: ომიანობის საქმეში არავითარი ცვლილება არ მომხდარა გარდა ინგლისის მთავრობის საქციელისა. ბურები იმავე ტაქტიკას მისდევენ, რომელსაც ომის დაწყებიდგანვე მისდევდნენ. წინად ამას სამხედრო ტაქტიკა ერქვა, შემდეგ ირრეგულიარული წეს-რიგი სამხედრო მოქმედებისა, ხოლო ახლა—ტაქტიკა დაცვისა. ბურთა რიცხვმა იკლო, მაგრამ მათი ბრძოლა ახლაც წარმოადგენს იმის კანონიერ მიმდინარეობას. ბურთა წინამძღოლთ ისევ იგივე უფლება აქვთ ჯარზედ, როგორც ბურთა მთავრობას თავისს ხალხზედ. კიტჩენერის პროკლამაცია უფრო გააგულისებს ბურებს, გამოაწრთობს მათს იარაღს და წინააღმდეგობას უფრო გაამწვავებს. ის ამბავი, ვითომც სამხრეთ-აფრიკის ორსავე რესპუბლიკას შეთქმულობა მოეხდინოს სამხრეთ-აფრიკაში ბრიტანიის ბატონობის წინააღმდეგ—მტკნარი სიცრუეაო. „აქ, ყოვლად შემძლებელი ღვთის წინაშე, ვამტკიცებ მეო—განაგრძო პრეზიდენტმა—რომ ეგ სიცრუეა და სისხლის ღვრამდის მიგვიყვანაო. ღმერთმან იცის, რომ მე მართალს ვამბობ, მისნი მოწმენი ამ ქვეყნად არიან, —სოლისბერი და ჩემბერლენი. მათ კარგად უწყიან, რომ ჩემი ნათქვამი მართალია. არასოდეს არ ყოფილა სიცრუე ამაზედ უფრო დამღუპავი, უფრო წყეული. ორივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და კაპის ახალშენის აფრიკანდერთა დაუსჯელობის ნიადაგზედ შეიძლება კიდევ დაიდოს ჭეშმარიტი დამტკიცე ზავი.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო“მ გამოაქვეყნ შემდეგი ამბავი: სხვა ღ სხვა გადასაწყვეტ საქმისა გამო პორტასთან შეთანხმება მოხდა ღ საჭირო განკარგულება უკვე შეადგინა ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სულთანის ნებართვით, რომელიც დაჰპირდა კონსტანს რომ შეთანხმების ტექსტს მეორე დღესვე გადმოგცემთო. კონსტანმა 6 აგვისტოს დეპეშა გაგზავნა პარიჟში, რომ არც ერთი ვალდებულება არ იქმნა შესრულებულიო. 9 აგვისტოს დელკასემ დეპეშითვე აცნობა კონსტანს, რომ პორტას მიერ მიცემული სიტყვის შეუსრულებლობისა გამო საფრანგეთს არ შეეფერება განაგრძოს მოლაპარაკება ღ გთხოვთ აცნობოთ პორტას, რომ მიიღეთ ბრძანება კონსტანტინეპოლი დასტოვოთ. 10 აგვისტოს კონსტანმა მოახსენა პორტას საფრანგეთის მთავრობისაგან მიღებული ამბავი ღ განაცხადა, რომ 13 აგვისტოს მივდივარო. რადგანაც ამ დღემდის არც ერთი ვალდებულება არ იქმნა შესრულებული, ამისათვის ელჩი კონსტანი კონსტანტინეპოლიდგან წავიდა.

**პარიჟი.** „Matin-ს“ შეუტყვია, რომ ხმელთა შუა ზღვის ესკადრა დუნკირხენთან ფლოტის ალლუმში მონაწილეობას მიიღებს.

15 აგვისტო

**პეტერბურგი.** დანიშნულ იქმნა არხანგელსკის გუბერნატორი ენგელგარდტი სარატოვის გუბერნატორად. სამხედრო აგენტი ბრიუსელში ღ გააგაში პოდპოლკოვნიკი მილლერ დანიშნულ იქმნას აგენტად რომში.

**ბერლინი.** ბევრნი ჰფიქრობენ, რომ პრინცის ცუნის ბერლინში გამგზავრებას ას-და აყოვნებს, რომ იმპერატორს არა ჰსურს პრინცის მიღება, ვიდრე სამშვიდობო ხელშეკრულობა ხელმოწერილი არ იქნებაო.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტოს“ ცნობებიდგან სჩანს, რომ კონსტანს ბრძანება მოუვიდა კონსტანტინეპოლიდგან წავიდეს, თუ მოთხოვნილება შესრულებული არ იქმნა. რადგანაც 13 აგვისტომდის არ იქმნა შესრულებული, ამისთვის კონსტანი წავიდა კიდეც. ეს ამბავი, როგორც სჩანს, ამტკიცებს, რომ დელკასეს განხეთქილება სერიოზულად მიაჩნია. კონსტანმა უარჰყო სულთანის წინადადება დარჩენისა ღ განაცხადა, რომ საქმე ფულში-კი არ არის არამედ პატიოსან ქცევაშიო.

**კაპშტადტი.** აფრიკანდერთა კავშირის მეთაური კაპის პარლამენტში პერსიმანი დამწყვდეულ იქმნა საკუთარსავე ფერმაში სტალლენბოშის მახლობლად. მან სიტყვა მისცა, რომ ფერმა არ დასტოვოს.

**ლონდონი.** კიტჩენერი პრეტორიიდგან დეპეშით იუწყება: 11 აგვისტოს კიმბერლეიდგან გრიკუატანში მიმავალ ურმებს კოვიკოტიესთან ბურები დაესხნენ, მაგრამ ისინი მოგერებულ იქმნენ. ინგლისელთაგან 9 მოკლულია და 23 დაჭრილი. ურმები გვიან უვნებლად მივიდნენ დანიშნულს ადგილას. 18 ტრანსვაალელი ბური მოუმისონიდგან ტყვედ წაყვანილ იქმნა ედინბურგის აღმოსავლეთით.

**მონტელმარი.** ლუბემ პასუხად ჩემისა და ქალაქის საბჭოსი, რომელთაც მიულოცეს მას წარმატებული პოლიტიკა და მალე მობრძანება რუსეთის იმპერატორისა, წარმოსთქვა, რომ რუსეთის იმპერატორის დასწრება დუნკირხენსა და რეიმსში უეჭველად ამტკიცებს, როგორც რუსეთში, ისე საფრანგეთში კავშირს ორი დიდი ხალხისას, რომელიც ერთმანეთს დაუახლოვა საერთო ინტერესებმა. პრეზიდენტს ეს კავშირი უშიშრობისა და მშვიდობიანობის სრულიად უზრუნველმყოფელად მიაჩნია. რესპუბლიკის მთავრობას არ აშინებს არავითარი უბედურება, რომელიც განუშორებელია თავისუფალ რეჟიმთან, და ბრძნულად და მტკიცედ მისდევს ტრადაციულს პოლიტიკას საფრანგეთისას.

16 აგვისტო.

**პეტერბურგი.** 15 აგვისტოს მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი, ბატონიშვილი ანდრია, დიდნი მთავარნი მიხეილ ნიკოლოზის ძე და გიორგი მიხეილის ძე მეუღლითურთ „ალექსანდრიას“ გემით პეტერგოფიდგან პეტერბურგში მობრძანდნენ, გემის უფროსმა გემის 50 წლის იუბილეისა გამო მიართვა ხელმწიფე იმპერატორს ჟეტონი გემის მოსამსახურეთა მოკლე აღწერილობა. საუზმეზედ ხელმწიფე იმპერატორმა მიირთვა გემის ყოფილ და აწინდელი აფიცერთა და მოსამსახურეთა სადღეგრძელო და ბრძანა, ბედნიერი ვარ, რომ ვცურავ იმ გემით, რომელშიაც სცურავდნენ ჩემი პაპის პაპა, პაპა და მშობელიო. პეტრე-პავლის საკრებულო ტაძარში მისვლის შემდეგ მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი და მათნი იიპერატორებითნი უმაღლესობანი უკანვე პეტერგოფში წაბრძანდნენ.

15 აგვისტოს ხელმწიფე მემკვიდრე ბარსოვის მამულში წაბრძანდა.

**ბერლინი.** „Berliner Neuesten Nachrichten“ ამთავრებს წერილს „გერმანია და რუსეთი“ ასე: „თუ საფრანგეთში, როგორც „Петер. Вѣдомости“ სწერს, სურვილი აქვთ გერმანიასთან დაახლოვებისა, ას ამბავს გერმანია მით უფრო სიამოვნებით მიეგებება რომ აქედგან არაფერი არ დაუზოგიათ, რაიცა დააჩქარებდა მთელის თაობით წინად მიყენებულ ჭრილობის განკურნებასაო.“

**ბერლინი.** ვარშავ-ვენის რკინის გზის საზოგადოების მე-10 და 11 სერიების 4 % ობლიგაციებზედ ხელის ხელის მოწერა შეწყვეტილ იქმნა შუადღემდის.

**პეკინი.** გუშინ საღამოს გამოცემულ იქმნა ბრძანება, რომლითაც აღკრძალულია ტყვიით სასროლ იარაღებისა და სამხედრო მასალების შემოტანა. ამ ბრძანებაში საყურადღებო გარემოება, აღკრძალვა მთავრობას შეეხება, არ არის მოხსენებული და საქმე ისეა აღნიშნული, ვითომც მთავრობა აღუკრძალავს შემოტანა საკუთარის უფლებით, იმ განზრახვით, რომ არეულობა და ავაზაკობა არ განმეორდეს. ელჩებმა ბრძანება საკმარისად ვერა სცნეს და დღეს მისი განხილვა უნდოდათ.

**ბერლინი.** „Berliner Tageblatt“ სწერს, რომ ამბავი იმპერატრიცის ფრიდრიხის დაქორწინებისა თავისს მრავალ წლოვან ობერ-გოფმარშალი, გრაფ სეკკენდორფთან, როგორც სარწმუნო წყაროდგან სჩანს, ყოველს სიმართლეს მოკლებულიაო.

**ლონდონი.** კიტჩენერი დეპეშით იუწყება პრეტორიიდგან: „გენერალმა გილდიმეძმა მაუწყა ბოლოს ამბავი, რომელიც ამტკიცებს, რომ 6 ივლისს გრასპანთან, რეიცის მახლობლად ერთი პორუჩიკი და ორი ჯარის კაცი“ გახვრეტილ იქმნენ მას შემდეგ, რაც დანებდნენო. მან გაუგზავნა ამ ჩვენების პირი შტეინსა და ბოტს. ბროდრიკმა დღეს კიტჩენერს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ თქვენ არ მიგიღიათ არავითარი და მაკმაყოფილებელი ამბავი ფალკფონტეინთან ჩვენის დაჭრილების გარდაცვალების შესახებ, თქვენს დეპეშაში აღნიშნულ ფაქტის შესახებ ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ უნდა პროკლამაცია გამოსცეთ, რომ სეთის ძალმომრეობის ჩამდენი რაზმის წევრნი დამნაშავედ იქმნებიან ცნობილნი, თუ დამტკიცდა, რომ ისინი გახვრეტას დაესწრნენ, სულ ერთია მონაწილეობა მიიღეს თუ არა, და რაზმის უფროსი თუ დანარჩენი უფროსნი პირნი მოკვდნენ, მონაწილეობის მიღების კვალობაზედ დასჯილი სიკვდილით იქმნება ანუ ნაკლებ სამძიმო სასჯელით.

**ხარკოვი.** ალექსეევის ამხანაგობის ქარხანაში ცეცხლი ჩააქრეს შენობა და ყველა მანქანა ცეცხლმა დასწვა; მთავარ საწყობში ტალახიანი მატყლი და აგრეთვე ეზოში დაწყობილი მატყლის ნაწილი დაიწვა; საზოგადო ზარალი მილიონ ექვსას ათას მანეთზედ მეტია; ყველაფერი დაზღვეული იყო.

**კიევი.** ინჟინერმა პეჩკოვსკიმ შეიმუშავა პროექტი რკინის გზის ხიდის გადაკეთებისა, მიმოსვლა შეწყვეტილ არ იქმნება ეს საქმე ღირს 300 ათას მან.

ტემპერატურა 15 გრადუსია; ღამეები ცივია; ცუდი დღეებია; წვიმა დაუშვა.

**ვინნიცა.** სექტემბრის დასაწყის აქ იმართება გამოფენა პოდოლსკის სასოფლოს სამეურნეო და სამრეწველო საზოგადოებისა; ექსპონენტები ამ წელს მეტია შარშანდელზედ.

**პარიჟი.** ქალაქის საბჭოს ბიურომ ერთხმად შეუერთდა სიხარულს, რომელიც გამოიწვია საფრანგეთში ხელმწიფე იმპერატორის მობრძანების ამბავმა, და ერთხმადვე გადასწყვიტა, მისწეროს ხელმწიფე იმპერატორს პარიჟის მცხოვრებთა სახელით და გამოუცხადოს სურვილი, რომ ხელმწიფე იმპერატორმა გააბედნიეროს ქალაქი დასწრებით თვისითა.

**ლონდონი.** „Times“-ს პეკინიდგან ატყობინებენ 14 აგვისტოს: „ლიხუნჩანგმა აცნობა დღეს დიპლომატიურ კორპუსის მამასახლისს, რომ მიღებულია მონდობილება ოქმზედ ხელის მოწერისა და სთხოვა ვადის დანიშვნა მას ხელმოსაწერად. ბრძანება, რომლითაც იარაღების შემოტანა აღკძალულ იქმნა, დღეს განიხილეს ელჩებმა. ოქმის შესავსებად საჭიროა კიდევ ორი ბრძანება.

**პარიჟი.** ლუბე ელისეის ს ლეში დაბრუნდა.

# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გ
გეობა
აცხადებს, რომ 20 აგვისტ
შუადღის 12 საათზედ, გამგ
სავე თანადასწრებით მოხდება
**ჯარო ვაჭრობა**, რომელზე
იჯარით გაიცემა ბულვარის ქ
მოკირწვლის საქმე რკინის გ
სადგურიდგან ელისაბედის ქუჩ
ტფილისის მე-10 ნაწილში მოს
რწლია 1600 ოთხ-კუთხი საჟ
სამუშაო სულ 4000 მანეთისაა.
მსურველთ პირობანი შეუძლია
გასინჯონ გამგეობის ამშენებ
განყოფილებაში ყოველ დღე, კვ
უქმის გარდა, 8-გან 1-საათამდე
(3—6.—1

ჭიათურის შავის-ქვ
მწარმოებელთა საბჭ
აცხადებს, რომ ამა 1901 წლის
აგვისტოს საბჭოს სადგომში, ქუ
ისს, მოხდება **საჯარო ვაჭრო**
რომელზედაც იჯარით გაიცემა
თურაში საავადმყოფოსთან სად
მებისა (სამუშაო 1075 მან.
კაპეიკისაა) და ორის სამრეწვე
გზის გამართვის საქმეები (სამუ
576 მან. 30 კაპ.), სულ 1651
79 კაპეიკისა. იჯარა ერთ
მიცემა. მსურველთ ვაჭრობის
წყებამდე უნდა წარადგინონ
10% საიჯარო თანხისა ნაღდ ფულ
ან სარგებლიან ქაღალდებით. ხარჯ
აღრიცხვისა და პირობე³ის გასინ
შეიძლება ყოველ დღე საბჭოს
დგომში. ვაჭრობის შედეგი საბჭ
უნდა დაამტკიცოს. (3—6.—2)

ფრიად საჭიროა იმათთვის, ვის
თმა სცვივა



მე, M-me ევ
ნია ლავო, გამ
გონელი თმის გ
სამაგრებელ და
ზრდელ სითხ
„ფენომენისა,“
ტფილისში ჩამოვედი და დავრჩ
ბი ძალიან ცოტა ხანს, რასაც ვ
უწყებ პატივცემულს საზოგადოებ
სითხე „ფენომენი“ იხმარება
კიკის, ნევრალგიისთ, თავისტკი
ლისა და სხვა ავადმყოფობის მ
სარჩენად. მაქვს მრავალი მადლობ
წერილი იმათგან, ვინც ჩემ მიე
გამოგონილი სითხე იხმარა. მსურ
ველთ ვიღებ დილის 10-დგან 1
საათამდე და 2 საათიდგან 6-მდე
რჩევა-დარიგების ფასი—50 კაპ.
**პატივისცემით ევგენია ლავო**
ხსენებული სითხე „ფენომენ
ნება-დართულია სამკურნალო მმა
თველობისაგან, ქ. ოდესა, № 157
(4—167—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го Августа 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**.